მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი № 13

ქ.მარტვილი

7 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 11⁰⁰ საათზე, დამთავრდა 12⁰⁰ საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, გიორგი ჯიჯელავა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ; დათო გეგეჭკორი–მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ, ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/, ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: 41.18.37.164 ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცების შესახებ;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

6. 2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/ ბონდო თოფურიას სთხოვა განმარტებები გაეკეთებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბონდი თოფურიამ ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ საქარტველოს მთავრობის 2022წლის 16 სექტემბრის N1694 განკარგუკლების მარტვილის მუნიციპალიტეტს მიეცა თანხმობა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით გამოყოფილის თანხის ნაშთი 7562 ლარი, 2020 წლის 5 მარტის N455 განკარგულების ნაშთი 16938 ლარი და 2021 წლის 5 თებერვლის N168განკარგულების ნაშთი 111440 ლარი ჯამში 135940 ლარი მიმართოს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურასა და სოფელ ტალერში

წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 125941 ლარი და 9999 ლარი მიიმართოს სოფელ დიდიჭყონის მე–19, მე–20, 21–ე და 22–ე ქუჩებზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად. აქედან გამომდინარე გაიზარდოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები და მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობები განისაზღვრა 20790847 ლარით, ხოლო გადასახდელები 23897606 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეორე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ დათო გეგეჭკორს სთხოვა განმარტებები გაეკეთებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დავთო გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას ემატება მარტვილის მუნიციპალიტეტეის საკუთრებაში არსებული, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე არასასოფო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 41.09.39.751

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მესამე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ დათო გეგეჭკორს სთხოვა განმარტებები გაეკეთებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დავთო გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბანძას ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უძრავ ქონების ს.კ 41.04.32.497 –ის საპრივატიზაციო გეგმაში შეტანას, ასევე აღნიშნა რომ აღნიშნული უძრავი ქონება შეტანილია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ნათია ბჟალავამ დასვა კითხვა თუ რამდენი ლარით განისაზღვრა აღნიშნული ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება, რაზეც დათო გეგეჭკორმა

უპასუხა, რომ აღნიშნული ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება განისაზღვრა 2000 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეოთხე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა
მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: 41.18.37.164 ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა კიწიას ად. ერთეულში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ამბულატორიის) სახელმწიფოზე საკუთრებაში გადაცემას.
სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: 41.18.37.164 ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცების შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: 41.18.37.164 ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე

მერისთვის თანხმობის მიცების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეხუთე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მეექვსე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 10–მა წევრმა
მოისმინეს 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, 2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ;
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ საკითხის საკრებულოს დღის წესრიგის პროექტის შეტანასთან დაკავშირებით.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: 2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან სურმავა